

სამოქალაქო საზოგადოება და ინსტიტუციური ფილანთროპია

უილიამ ა. შაბაკა
კრისტინა ჯ. შაპუკი

ინსტიტუციური ფილანთროპია, რაშიც მოვიხსენიებთ ძლიერი და პროფესიონალი კადრებით დაკომ-
პლექტებულ კერძო ფონდებს, სამოქალაქო საზოგადოების ბუნებრივი შედეგია, რომელიც ხშირად
ისე იქცევა, თითქოს რცხვენია კიდევ საკუთარი წარმომავლობის. რასაკვირველია, ამერიკის ყველაზე
მსხვილ ფონდებს გასაქანი რომ ჰქონოდათ, ისინი აუცილებლად ძირეულად შეცვლიდნენ ამერიკის
სამოქალაქო ცხოვრების ძირითად მახასიათებლებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამერიკული
ფილანთროპია, როგორც მოდელი, სხვა ქვეყნებშიც გავლენით სარგებლობს, შეგვიძლია დავასკვნათ,
რომ იგი სხვა სამოქალაქო საზოგადოებების ჯანმრთელობის სტატუსზეც მოქმედებს. როგორ მივედით
ამ მდგომარეობამდე და რისი შეცვლა შეგვიძლია ახლა? წინამდებარე თავი სწორედ ამ კითხვებზე
პასუხის გაცემას ისახავს მიზნად.

1. აღქმის და გოკვილი, დემოკრატიული ადვანსიზმი და ადგილობრივი ნაბაყოფლობითი ასოციაციები

ნებისმიერი მსჯელობა ამერიკის სამოქალაქო საზოგადოების ირგვლივ აუცილებლად უნდა დაიწყოს
აღქმის და ტოკვილითა და მისი ნაშრომით დემოკრატია ამერიკაში, რომელიც ორ ტომად გამოიცა
1835 და 1840 წლებში. როგორც მრავალი ისტორიკოსი აღნიშნავს, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის
ამერიკის სამოქალაქო ცხოვრების ტოკვილისეული აღწერა ისტორიულად მთლად ზუსტი არ არის.
მკვლევრები ასევე მიიჩნევენ, რომ ტოკვილის ნაშრომების სერიოზულად მიღება დღეს შეუძლებელია,
რადგან მის მიერ აღწერილი ნოსტალგიური, მყუდრო და ძლიერი თემები მხოლოდ ტოკვილის
წარმოდგენაში არსებობდა. ყოველ შემთხვევაში, დღევანდელ ამერიკაში მათ ვერსად იპოვნით.

მაგრამ ამგვარი მიდგომა ფუნდამენტური შეცდომაა. ტოკვილის მიზანი არასდროს ყოფილა გამოეცა რაიმე, ვთქვათ, ბაედეკერის გზამკვლევის მაგვარი ამერიკის შესახებ. შესაბამისად, *დემოკრატიკა ამერიკაში*, არის პოლიტიკურ-ფილოსოფიური ნაშრომი. ტოკვილს სურდა აღენერა რადიკალური და ბევრისთვის შემაშფოთებელი ახალი პოლიტიკური და სოციალური ფენომენი – დემოკრატიის გავრცელება მსოფლიოში. ამერიკა აღმოჩნდა ის ადგილი, სადაც დემოკრატიამ განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია. უფრო მეტიც, მიუხედავად ძალზე არასახარბიელო პროგნოზებისა, ამერიკამ შეძლო და დაამკვიდრა ზომიერი, თვითკონტროლირებადი, მონესრიგებული და ლიბერალური დემოკრატიკა. ტოკვილს სურდა ამ გამოცდილებიდან გამოერჩია ის ძირითადი პრინციპები და პრაქტიკები, რომლებმაც გადაარდილეს ყველაზე ცუდი გამოცდილება და საუკეთესოდ წარმოაჩინეს დემოკრატიკა, რათა სხვა ქვეყნებსაც მიეღოთ იგივე სარგებელი. ამერიკული ცხოვრების ტოკვილისეული აღწერა, რომელშიც, ბევრის აზრით, ბევრი რამე გადაჭარბებულია ან მიზანმიმართულად გამორჩენილი, სწორედ ამ პედაგოგიკური მიზნის გათვალისწინებით დაინერა.

ტოკვილისთვის, ამერიკის დამფუძნებელი მამების მსგავსად, თანამედროვე ლიბერალურმა დემოკრატიკამ ქვეყნის ცხოვრებაში შემოიტანა ინდივიდუალიზმის ელემენტი, რაც ადამიანის თავისუფლების აქამდე გაუგონარ ხარისხსა და კეთილდღეობასთან ერთად, ბევრი საფრთხის შემცველი აღმოჩნდა. ინდივიდუალიზმს შეეძლო ადამიანები ეგოცენტრიზმის მატერიალისტურ ატომებად და ვიწრო ინტერესების მქონე არსებებად გადაექცია. იგი „თითოეულ მოქალაქეს სხვა თანამოქალაქეებისგან იზოლაციისადმი განაწყობდა“. ინდივიდუალისტურ დემოკრატიკებში „თითოეული ადამიანი მართა და შესაბამისად, არსებობს საფრთხე, რომ ისინი საკუთარი გულის მართობაში ჩაიკეტონ“. ([1835] 2000, 482-4). თუ მართობა და იზოლაცია ის ძირითადი საფრთხე იყო, რომელიც თანამედროვე დემოკრატიკამ წარმოშვა, ამერიკელებმა, ტოკვილის აზრით, მალევე მიაგნეს გამოსავალს. ამ მიზანზე, ამბობდა ტოკვილი, ინდივიდუალიზმის შესუსტება შესაძლებელი იყო მთელი რიგი მექანიზმებით, მათ შორის ადმინისტრაციული დეცენტრალიზაციითა და ნებაყოფლობითი გაერთიანებებით, რომლებსაც ერთი საერთო პრინციპი ჰქონდათ: ორივე მექანიზმი აიძულებდა ადამიანებს პასუხისმგებლობა აედოთ საზოგადოებრივი საქმიანობის თუნდაც მცირე ნაწილზე, ანუ იმ საკითხებზე, რომელთა გადანყვეტა მათ ინტერესში შედიოდა, მაგრამ რომლებიც ასევე მოითხოვდა სხვებთან კავშირსა და თანამშრომლობას. სწორედ ამგვარად, ადამიანების თვალსაწიერი არ იყო შემოსაზღვრული მხოლოდ და მხოლოდ პირადი ინტერესებით და უფრო ფართო საზოგადოებრივ მიზნებსაც მოიცავდა. ადმინისტრაციული დეცენტრალიზაცია პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქის გამონრთობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. ტრადიციულად ძლიერი ადგილობრივი მმართველობა ამერიკაში ნიუ ინგლენდის ქალაქის თავყრილობებიდან იღებს სათავეს. თუმცა, შტატების გაერთიანების შემდეგაც კი, როგორც ტოკვილი აღნიშნავს, „ამერიკულ კანონმდებლებს არც უფიქრიათ, რომ ერის ზოგადი წარმომადგენლობა საკმარისი იქნებოდა“ ინდივიდუალიზმის საფრთხეების შესამცირებლად: „ისინი მიიჩნევდნენ, რომ თითოეულ შტატს საკუთარი პოლიტიკური ცხოვრება უნდა ჰქონოდა, ხოლო მათ მოქალაქეებს – ერთად შეყრის უწყვეტი მიზეზი, რათა ეგრძნოთ ერთად მოქმედების საჭიროება და ერთმანეთზე დამოკიდებულება“ ([1835] 2000, 486-7). თუმცა, მოქალაქეობრივი მოვალეობის გრძნობა მხოლოდ მაშინ ძლიერდება, როდესაც ადამიანები ხვდებიან, რომ საზოგადოებრივი საკითხები მათ პირად კეთილდღეობაზეც მოქმედებს: „ძნელია, ადამიანი დააინტერესო ისეთი ზოგადი საკითხებით, რომელიც მთელს ქვეყანას ეხება“. თვითდაინტერესების შემთხვევაში, საზოგადოებრივი ჩართულობა და შესაბამისად, სოციალური ვალდებულებების აღება შესაძლებელია, როდესაც ადამიანი გააცნობიერებს კავშირს კერძო ინტერესებსა და საზოგადოებრივ მოვლენებს შორის. მას შემდეგ, რაც ინდივიდი საჯარო სივრცეში შეაბიჯებს იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხება „მის საკუთრებასთან გამავალ გზას“, იგი იძულებულია სხვებთან ერთად იმოქმედოს. შესაბამისად, „როგორც კი ადამიანები იწყებენ საზიარო საკითხებზე ერთად

მოქმედებას, იმ წამიდან ხვდებიან, რომ სულაც არ არიან ისე დამოუკიდებელი სხვებისგან, როგორც აქამდე ეგონათ და რომ თუ სხვების დახმარება ესაჭიროებათ, თვითონაც უნდა გაუწოდონ მათ დახმარების ხელი“. ([1835] 2000, 486). თანამოქალაქეების კეთილდღეობისთვის განუვლი საქმიანობა საბოლოოდ სხვების დახმარების ჩვევაში გადადის“. ([1835] 2000, 488).

სამოქალაქო საზოგადოების ნებაყოფლობითი გაერთიანებები ადმინისტრაციული დეცენტრალიზაციის მსგავსად მოქმედებენ, რათა ინდივიდს მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობა განუვითარდეს. ტოკვილის ცნობილი გამონათქვამის თანახმად, „ყველა ასაკის და საქმიანობის ამერიკელი მიდრეკილია იმისკენ, რომ მუდმივად ქმნიდეს გაერთიანებებს.“ ([1835] 2000, 489). როგორც წესი, ასოციაციების ჩამოყალიბება ემსახურება იმ კონკრეტული პრობლემის გადაჭრას, რომელსაც გავლენა აქვს ინდივიდების პირად ინტერესზე: „თუ საერთო მოხმარების გზაზე რაიმე მიზეზით მოძრაობა ფერხდება, მეზობლები დაუყოვნებლივ ქმნიან ასოციაციას, რომელსაც აღმასრულებელი ფუნქცია აქვს და რომელიც პრობლემების გადაჭრას ემსახურება“ ([1835] 2000, 180-1). როდესაც მოქალაქეები ერთიანდებიან „საერთო მიზნის მისაღწევად, ისინი ეჩვევიან სხვების ინტერესების გათვალისწინებას პირადი ინტერესების დაკმაყოფილებასთან ერთად; „ასოციაციებში გაერთიანებული ადამიანების ორმხრივი ქმედებების შედეგად ჩნდება ახალი იდეები, გული კეთილშობილდება და ურთიერთგაგება მკვიდრდება“ ([1835] 2000, 491).

დეცენტრალიზაცია და ნებაყოფლობითი ასოციაციები ახასიათებდა ამერიკულ საზოგადოებას და სოციალურ ცხოვრებას დამოუკიდებლობის მოპოვებიდან პირველი საუკუნის განმავლობაში. თუმცა, ზღვარი საჯარო და პირად ცხოვრებას შორის არ იყო მკაფიოდ გავლენული. ასე, რომ ისეთი საზოგადოებრივი საქმიანობები, როგორცაა, მაგალითად, ავადმყოფების მოვლა, ახალგაზრდების განათლება და ღარიბებზე ზრუნვა, ნებაყოფლობით ან კერძო ჯგუფებს შორის შეთანხმებით ხდებოდა. რადგან ყოველდღიურ პოლიტიკურ ცხოვრებაზე ჩვეულებრივი მოქალაქეები ზრუნავდნენ, ამ ზრუნვის შედეგი ხშირად სამოყვარულო დონეზე მიღებული მოუქნელი გადანყვეტილებები იყო, რომლებსაც საფუძვლად ედოთ ადგილობრივი თემების უკიდურესად განსხვავებული, განსაკუთრებული და ხშირად არარაციონალური მორალი და რწმენები. მაგრამ, ამ უზარმაზარი სპექტრის მქონე საქმიანობებში წარმატებით და მშვიდობიანად მონაწილეობდა ყველა ტიპის ამერიკელი – დაწყებული მცირერიცხოვანი მდიდრებით, რომლებიც აყალიბებდნენ საქველმოქმედო და კერძო ორგანიზაციებს, რათა დაეცვათ საკუთარი ინტერესები მას შემდეგ, რაც პოპულისტური მოძრაობები ახერხებდნენ მათ გამოძევებას საჯარო ოფისიდან, დამთავრებული ქალებით, ღარიბი ფერმერებით და მუშებით, საძულველი სექტების წევრებით, თავისუფალი შავკანიანებითა და ემიგრანტებით, რომლებიც აყალიბებდნენ საკუთარ საქველმოქმედო ორგანიზაციებს, დამკრძალავ საზოგადოებებს, სადაზღვევო კომპანიებს და კოოპერატივებს საკუთარი ინტერესების დასაკმაყოფილებლად (Hall 1982; Hall 1992, 140-206; McCarthy 2003).

2. მეხნიეკული ზიანთა აღდგენის ალგორითმი

მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოებაში დემოკრატიული ენერჯის ასეთი მძლავრი ამოფრქვევის მიმართ ტოკვილი უდავოდ დადებითად იქნებოდა განწყობილი, ამერიკის პროგრესული მოძრაობის აზრით, ეს ენერჯია მაინც უძლური იყო მეოცე საუკუნის გასაყარზე ერის მოთხოვნების სრულად დასაკმაყოფილებლად. ამ დროისთვის მძლავრ ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ პროგრესს, განსაკუთრებით კი წარმოების, მასობრივი მოხმარების ბაზრების, რკინიგზების, ტელეგრაფის და სატელეფონო კომუნიკაციის განვითარებას, უკვე დაერღვია, როგორც ენამოსწრებულად უწოდებს

რობერტ ვიბი (Robert Wiebe), კუნძულის თემებს შორის არსებული საზღვრები და საერთო პრობლემების გადაჭრის მიმართ ტოკვილისეული დეცენტრალიზებული და მოხალისეობაზე ორიენტირებული მიდგომა უადგილოდ მოჩანდა (1966, xiii, 4).

საღი აზრი, რომელიც კმაროდა ადგილობრივ და სათემო დონეზე მიმდინარე საჯარო მოვლენების არსის გასაგებად, უკვე ვეღარ სწვდებოდა ახალ ტექნოლოგიურ ურთიერთკავშირს, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებას ახასიათებდა. მოქალაქეებს შეეძლოთ მხოლოდ ზედაპირული და მყისიერი სოციალური პრობლემების აღქმა, უფრო სწორად, ხედავდნენ მხოლოდ მათ სიმპტომებს და არა გამომწვევ მიზეზებს. ეს გაგება დამოკიდებული იყო ახალ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებზე, რომლებიც რევოლუციებს ახდენდა მედიცინაში, საზოგადოებრივ ჯანდაცვასა და სოფლის მეურნეობაში. გარდა ამისა, ვითარდებოდა ახალი, სოციუმზე ორიენტირებულ მეცნიერებები. პროფესიონალ სოციალურ მეცნიერებს – ეკონომისტებს, სოციოლოგებს, ფსიქოლოგებსა და პოლიტიკურ ანალიტიკოსებს, ახლა უმნიშვნელოვანესი როლის შესრულება დაეკისრათ, რადგან, როგორც ტომას ჰასკელი აღნიშნავს, „ძირითადად ამ ახსნის ძალის წყალობით შეუძლიათ ადამიანებს გაიაზრონ რთული სიტუაციები, ხოლო საზოგადოების მომავლის ერთობლივად განკარგვას კი პროგნოზირების უნარით ახერხებენ“. (Haskell 1977, 14). ჰერბერტ კროლის ფორმულირების მიხედვით „უფრო რთულ, ცვალებად, ენერგიულ, აღჭურვილ და დიფერენცირებულ დღევანდელ საზოგადოებაში“, „მაკავშირებელი ელემენტი“ შეიძლება ყოფილიყო „ყველაზე სრული სოციალური ამბავი“, რომელის შექმნა მხოლოდ სოციალური მეცნიერების იმ ექსპერტებს შეუძლიათ, რომლებიც „სოციალურ ცოდნას ვალიდური სოციალური მიზნისთვის“ იყენებენ (Croly 1915, 370).

ტოკვილის მოსაზრებას, რომ ადგილობრივი, ნებაყოფლობითი ქმედება გადამწყვეტ როლს ასრულებდა დემოკრატიული ინდივიდუალიზმის დაძლევაში, დროთა განმავლობაში ყავლი გაუვიდა და იგი ჩაანაცვლა რწმენამ იმის თაობაზე, რომ ჩვეულებრივ მოქალაქეებს მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე ორიენტირება შეეძლოთ, ხოლო მათ, ვინც ფლობდნენ მეცნიერების აბსტრაქტულ და ობიექტურ ტექნიკებს, საკუთარი პროფესიონალიზმისა და სამსახურისადმი ერთგულების წყალობით შესწევდათ უნარი დამდგარიყვნენ წვრილმან პრობლემებზე მაღლა, ეფიქრათ საზოგადოებრივ პრობლემებზე და გაძლოდნენ ნაკლებად განათლებულებს. ეს ახალი ლიდერები გამოიყვანდნენ მოქალაქეებს ადგილობრივი თემების სიმყუდროვიდან და გააერთიანებდნენ უფრო მასშტაბურ ერთობაში, ახლა უკვე სახელმწიფოს დონეზე. დიდი და ეროვნული თემი თავს განირავს ამერიკელი ხალხის “ეროვნული იდეის გამო. ეს იქნება მილიონებისგან შემდგარი უზარმაზარი თემი, რომელშიც, მოქალაქეები მაინც დაკავშირებულნი იქნებიან თანაგრძნობის, ძმური და მეზობლური მძლავრი კავშირებით. კროლის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ადამიანები დაემორჩილებოდნენ დომინანტურ და კონსტრუქციულ ეროვნულ მიზანს“ და ისინი იფიქრებდნენ „უპირველესად სახელმწიფოზე, და შემდეგ უკვე პირად ინტერესებზე“. რასაკვირველია, ამერიკელები გაიზიარებდნენ „კაცთა შორის ძმობის რელიგიას“, რაც “შესაძლებელია მხოლოდ იმ სიკეთისა და სიყვარულის გრძნობით, რომელსაც ადამიანები საკუთარი თანამოქალაქეების მიმართ განიცდიან“. (Ross 1909, 23, 406, 418, 453). სოციოლოგი ედვარდ ალვორთ როსი, რომელიც თითქოს მიზანში იღებს სამოქალაქო საზოგადოების ტოკვილისეულ იდეას, შემდეგ შეჭამებას გვთავაზობს: ამერიკამ უნდა ატობოს საკუთარ ფრაგმენტაციას იმით, „რომ გადააქციოს ის ათასობით ადგილობრივ ჯგუფად, რომლებიც საკუთარი მიზნების მიღწევისთვის იბრძოლებენ და რომლებისთვისაც უცხო იქნება დანარჩენი საზოგადოების სულისკვეთება“. ამისთვის კი საჭიროა „სეკულარული ცოდნის მაქსიმალური გავრცელება, რათა რაც შეიძლება შეიზღუდოს ფანატიკოსების გავლენა ან ცრუ წინასწარმეტყველებს არ მიეცეთ მიმდევრების გადაბირების შესაძლებლობა“. ამასობაში, ელიტები, რომლებსაც ხელი მიუწვდებათ საუნივერსიტეტო განათლებაზე, “მხარს დაუჭერენ იმ ლიდერებს, რომლებსაც შესწევთ ძალა, გააერთიანონ ადამიანები, თავი მოუყარონ ნააზრევს და არ დაყონ და დაანანევრონ საზოგადოება, როგორც ამას სექტების დამფუძნებლები აკეთებენ“. (Ross 1921, 422)

პირველი მსხვილი ამერიკული ფონდები, როგორცაა კარნეგი, როკფელერი და რასელ სეიჯი, ჩამოყალიბდა, როგორც ამერიკული პროგრესული პროექტის ინსტრუმენტები. მათ სათავეში ედგათ „ადამიანები, რომლებსაც ღრმად სწამდათ რაციონალობის, ორგანიზებისა და ქმედითობის იდეების“, რომლებმაც მცირე და ნაკლებად ეფექტიანი ერთეულების გაერთიანების ხარჯზე შექმნეს უზარმაზარი და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე განფენილი სანარმოები ძალიან დიდი ამბიციებით. ასე, რომ, მათ მიერ დაარსებული ორგანიზაციები თავისი მასშტაბით იყო ეროვნული, მუდმივმოქმედი და ისწრაფოდა კაცობრიობის ზოგადი კეთილდღეობისკენ. დამფუძნებლები „ასევე გამსჭვალულები იყვნენ თანამედროვე მეცნიერებების მორალით“. მათი რწმენით, პრობლემებისადმი „უფრო მეცნიერული და საქმიანი მიდგომა მოითხოვდა სოციალური დისფუნქციის გამომწვევ მიზეზებთან ბრძოლას“, ხოლო მათი განსაზღვრა „შესაძლებელი იყო მეცნიერული გამოძიებითა და კვლევით სოციალური და ფიზიკური კეთილდღეობის შესახებ“. ჯონ როკფელერის სიტყვებით, ეს ახალი ორგანიზაციები „მუდმივად ეძიებდნენ მიზეზებს და ცდილობდნენ ავი სანყისშივე განეკურნათ“ (Rockefeller 1913, 177) ამ შორს მიმავალი მიზნებისგან განსხვავებით, ტოკვილის ადგილობრივ თემებს მხოლოდ ძირითადი პრობლემების სიმპტომების გაგებისა და სიტუაციის მცირედით გაუმჯობესების მოკრძალებული უნარი გააჩნდათ. (Karl and Katz 1981, 236-270).

ახალი ფონდები უამრავ რესურსს ხარჯავდა ფიზიკური და სოციალური საფუძვლების შესასწავლად და მათ შესახებ ახალი მეცნიერებებისა და სწავლების განსავითარებლად, განსაკუთრებით, თანამედროვე და საზოგადოებრივი კვლევის ინსტიტუტებში. ამავე დროს, მათი წყალობით ამ ახალი მეცნიერებებიდან აღმოცენებულმა ელიტურმა პროფესიებმა განიცადეს რაციონალიზაცია, სტანდარტიზაცია და მოდერნიზაცია. გარდა ამისა, საფუძველი ჩაუყარეს იმ ინსტიტუციებს, რომლებიც უზრუნველყოფდნენ საჯარო პოლიტიკურ პროცესებზე მათი გავლენის შენარჩუნებას. მაგალითად, რასელ სეიჯმა უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა სოციალური მუშაობის ადგილობრივი, სათემო-საქველმოქმედო ინიციატივიდან ნამდვილ პროფესიულ ტრანსფორმაციაში. ეს ძალისხმევა ეხმიანებოდა ფონდის ერთ-ერთი დამფუძნებლის, რობერტ დე ფორესტის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მნიშვნელოვანია სოციალურმა სამსახურმა იზრუნოს ღარიბ ოჯახებზე, თუმცა, ყველაზე ეფექტური შედეგის მისაღებად საჭიროა იმ გარემოებების შესწავლა, რამაც გააღარიბა ეს ოჯახები და, შესაძლებლობის შემთხვევაში მათი აღმოფხვრა. (Hammack and Wheeler 1994, 11). მერი ვან კლიკი, ფონდის ინდუსტრიულ სწავლებათა დეპარტამენტის დირექტორი ამბობდა, რომ „მსოფლიოს კონტროლი შესაძლებელია, თუ ჩვენ გზას მივცემთ ინტელექტს“ (Sealander 1997, 39).

რასელ სეიჯის მსგავსად კარნეგის კორპორაციის მუშაობაც მსგავს მიზანს ემსახურებოდა. კერძოდ, კორპორაციამ დიდი წვლილი შეიტანა განათლების ეროვნული სტანდარტების დამკვიდრებაში, რათა მხოლოდ საუკეთესოებს შეძლებოდათ ახალი ტრანსლოკალური ელიტების წევრობა. მიუხედავად იმისა, რომ კარნეგის სწავლების სრულყოფის ფონდის გაცხადებულ მიზანს კერძო კოლეჯების მასწავლებლების საპენსიო ფონდისთვის ფინანსური მხარდაჭერა გაენია, სინამდვილეში, როგორც ფონდის პირველმა დირექტორმა ჰენრი ს. პრიჩეტმა აღნიშნა, კორპორაციის საქმიანობის არეალი და წვლილი ამერიკული განათლების ცენტრალიზებასა და სტანდარტიზირებაში გადანონის მის თავდაპირველ მიზანს“ (Lagemann 1983). კარნეგი იმ პირველ ორგანიზაციათა შორის იყო, რომლებიც ცდილობდა საშუალო სკოლებში აკადემიური პროგრესის ინდიკატორების სტანდარტიზირებასა და რაციონალიზირებას და აგრეთვე, მკაცრი ტესტირების შემოღებას უმაღლეს სასწავლებლებში მოსახვედრად. კვლევის რამდენიმე ინსტრუმენტის მეშვეობით, რომელთა შორის ყველაზე ცნობილია ფლექსნერის ანგარიში სამედიცინო განათლების შესახებ, კარნეგი შეეცადა თეორიისა და პრაქტიკის, როგორც თანამედროვე ორგანიზაციის საფუძვლის, სტანდარტიზირებას.

როკფელერის ფონდმაც მნიშვნელოვანი ძალისხმევა გაიღო არა მხოლოდ სამედიცინო და საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემების აღმოსაფხვრელად, მათ შორის სამედიცინო კვლევის,

როკეფელერის ინსტიტუტისა და ნემატოდას დაავადების აღმოფხვრის როკეფელერის სანიტარული კომისიის მეშვეობით (Ettling 1981), არამედ განახორციელა მთელი რიგი საქმიანობებისა სოციალური მეცნიერებების განვითარებისთვის კვლევით უნივერსიტეტებსა და კვლევით ორგანიზაციებში. როკეფელერის ახლადდაფუძნებულ ჩიკაგოს უნივერსიტეტს მძლავრი სოციალური მეცნიერებების მიმართულება ჰქონდა და უშუალოდ იყო დაკავშირებული საჯარო პოლიტიკის პრაქტიკულ განხორციელებასთან იმ შენობის მეშვეობით, რომელიც როკეფელერის მიერ დაფუძნებული კამპუსთან ახლოს იდგა და რომელიც თავის დროზე საჯარო პოლიტიკისა და საჯარო ადმინისტრირების განმხორციელებელ ოცდაორი წამყვანი სააგენტოს შტაბს წარმოადგენდა. გარდა ამისა, როკეფელერი გახლდათ იმ სააგენტოების უმთავრესი ფინანსური მხარდაჭერი, რომლებიც კოორდინაციას უწევდა საჯარო პოლიტიკის კვლევებს, მაგალითად, სოციალურ მეცნიერებათა კვლევის საბჭო და ეკონომიკური კვლევების ეროვნული ბიურო. 1920-წლებში როკეფელერის მისიის განაცხადის მიხედვით, მისი ფინანსური მხარდაჭერა ემსახურებოდა „იმ ცოდნის გავრცელებას, რომელსაც, კომპეტენტური სოციალური ტექნიკოსების ხელში, შეუძლია მძლავრი სოციალური კონტროლის შემოღება“ (Fisher 1983, 208).

თუმცა, მსხვილი ფონდების ერთადერთ მიზანი არ ყოფილა ძალაუფლების ცენტრის გადმოტანა იმ მოქალაქეებისგან, რომლებსაც არასრული წარმოდგენა ჰქონდათ სოციალურ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე და ამ ძალაუფლების იმ ექსპერტებისთვის გადაცემა, როლებსაც შეეძლოთ სიღრმისეულად გაეანალიზებინათ გამომწვევი მიზეზები. გარდა ამისა, ისინი ასევე ცდილობდნენ პროფესიული ლიცენზირებისა და აკრედიტაციის ბარიერების აწევას, რათა ახალი ელიტები განმედილიყვნენ იმ ირაციონალური და მოძველებული მსოფლმხედველობისგან, რომელიც ღრმად იყო გამჯდარი პატარა, იზოლირებულ საზოგადოებებში. სამედიცინო განათლების რეფორმა, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა ფლექსნერის ანგარიშით, მაგალითად, გულისხმობდა იმ სამედიცინო სკოლების რაოდენობის შემცირებას, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ მაღალი სამეცნიერო სტანდარტებით არ გამოირჩეოდა, მაინც იზიდავდა ღარიბ და მარგინალიზებულ სტუდენტებს. ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ, მაგალითად, იმ სამედიცინო სასწავლებლების რაოდენობა, რომლებიც ძირითადად აფრო-ამერიკელებს ემსახურებოდნენ, რვიდან ორამდე შემცირდა. თუმცა, „ფლექსნერს არ ეყო მოთმინება მოესმინა მათთვის, ვინც შეშფოთებას გამოთქვამდა იმასთან დაკავშირებით, რომ ამგვარი სკოლების დახურვით ღარიბი ოჯახების ვაჟებსა და უმცირესობის წარმომადგენლებს აღარ ექნებოდათ წვდომა სამედიცინო განათლებაზე. მხედველობაში არ იქნა მიღებული არც სტიპენდიის შესაძლებლობა ფინანსური რესურსების შეფასების საფუძველზე“ (Sealander 232). კარნეგის მიერ გაწეული სამუშაო სამართლის სფეროს პროფესიონალიზაციასთან დაკავშირებით ნაწილობრივ განპირობებული იყო კოლუმბიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მაშინდელი დეკანის, ჰარლან ფისკე სტოუნის მიერ გამოთქმული შეშფოთებით იმის თაობაზე, რომ „იურისტთა კორპუსის ხარისხის დაქვეითება“ იყო „საშუალო დონის დაქვეითებით, რაც, თავის მხრივ, განპირობებული იყო არაკვალიფიციური პერსონალის მზარდი შემოდინებით ძირითადად უცხოელების ხარჯზე“ (Lagemann 77).

ლაგემანის პასუხი კარნეგის კრიტიკოსებისადმი შეიძლება ასევე გავრცელდეს ყველა ძირითად ფონდზე: „კრიტიკოსებმა დაინახეს რისკი“, რადგან როგორც ისინი ფიქრობდნენ, ეს ფონდები “მხარს უჭერდნენ ნაციონალიზმს ლოკალიზმის (პროვინციალიზმის) ხარჯზე, სტანდარტებში უნივერსალიზმის დამკვიდრებას პლურალიზმის ხარჯზე, ექსპერტების მონაწილეობას სტანდარტების შემუშავებაში მოქალაქეების მონაწილეობის ხარჯზე და კერძო უფლებამოსილებას პოლიტიკის კეთების პროცესში, საჯარო უფლებამოსილების ხარჯზე (1983, 180). კრიტიკოსებს შეშფოთებას სერიოზული არგუმენტი ამყარებდა: ახალ ფონდებს ღრმად სწამდათ, რომ ძალაუფლება უნდა ჰქონოდათ პროფესიული განათლების მქონე ეროვნულ ელიტებს და არა გაუნათლებელ ადგილობრივ თემებს, რაც ასე მნიშვნელოვანი იყო ამერიკული დემოკრატიის ტოკვილიეული გაგებისთვის და აგრეთვე იმ ადამიანებისთვის, რომლებიც მის სერიოზულ გავლენას განიცდიდნენ.

3. ზონები და მოაპრობა: თანამშრომლობა და ზედამხედველობა

მეოცე საუკუნის განმავლობაში ქვეყნის უნივერსიტეტებიდან გამოსული ელიტები და ფონდების მიერ დაფინანსებული კვლევითი ორგანიზაციები ფედერალური ხელისუფლების მხარე მხარდაჭერით სარგებლობდნენ. ფედერალური მთავრობა ამ დროს უკვე ფარავდა ამერიკელების ცხოვრების მნიშვნელოვან ასპექტებს ფრანკლინ რუზველტის ახალი გარიგებისა (New Deal) და ლინდონ ჯონსონის ძლევა მოსილი საზოგადოების (Great Society) კონცეფციების პრაქტიკაში გატარებით. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე მსხვილი ფონდებიც კი ახლა უკვე მცირე როლს სჯერდებოდნენ საჯარო პოლიტიკის განხორციელების პროცესში, რადგან ეს ტენდენცია მათივე ექსპერტების მიერ იყო ნაკარნახევი და გამყარებული, ფილანთროპია მხოლოდ იმ ხარვეზების გამოსწორებას დასჯერდა, რომელსაც ფედერალური მთავრობა ვერ ფარავდა. ამიტომ, ყველაზე ძლევა მოსილი ფონდების მიზანი საპილოტე და საჩვენებელი პროექტების განხორციელება გახდა, რომლებიც, წარმატების შემთხვევაში, შეიძლებოდა, ფედერალურ მთავრობას გადაეხარებინა.

ამგვარი საპილოტე პროექტებისა და გადაბარების წარმატებულ მაგალითად მიიჩნევა 1960-იან წლებში ფორდის ფონდის მხარდაჭერით განხორციელებული Grey Areas პროექტი, რომელმაც შემდგომ საფუძველი ჩაუყარა ჯონსონის ინიციატივას სათემო მობილიზების შესახებ, რომელიც „ომი სიღარიბეს“ სახელითაა ცნობილი. საინტერესოა, რომ ეს გახლდათ ყველაზე მასშტაბური მცდელობა მსხვილი ფონდების მხრიდან იმ მოსაზრების გამოსაცდელად, რომ მოქალაქეებს შეეძლოთ მნიშვნელოვანი წვლილის გაღება საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრის პროცესში. თუმცა, ძირითად პრიორიტეტად მაინც ის ხაზი იყო მიჩნეული, რომელიც გულისხმობდა, რომ სერვისების ძირითადი მიმწოდებლები მაინც პროფესიონალები უნდა ყოფილიყვნენ, ხოლო თემებს შეეძლოთ მხოლოდ გარკვეული წვლილის შეტანა მათი კოორდინაციისა და ეფექტიანობის გაუმჯობესებაში. ფრანსის ფოქს პივენის აზრით, მთავარ მიზანს „სერვისების რეორგანიზება წარმოადგენდა, რომელიც შედეგად მოიტანდა რაციონალურ და დაგეგმილ თანამშრომლობას“. (Piven 1967, 95). ცხადია, რადიკალური მოსაზრება იმის თაობაზე, რომ შეიძლებოდა ღარიბი რაიონების მოსახლეობასთან კონსულტაცია იმის თაობაზე, თუ რას მიიჩნევდნენ ისინი საკუთარ პრობლემად და რომ შესაბამის სააგენტოებს დახმარების პროგრამები იმ გამოსავლების მიხედვით უნდა აეგოთ, რომელთა განსაზღვრაშიც თავად ეს ადამიანები მიიღებდნენ მონაწილეობას, არც არასდროს განხილულა. ჩარლზ სილბერმანმა, რომელმაც ნაშრომი მიუძღვნა ტემპლის უნივერსიტეტის მეცნიერების მიერ განხორციელებულ ფილადელფიის სათემო მობილიზაციის ექსპერიმენტს, აღნიშნა, რომ „მეცნიერებს, ოფიციალურ პირებსა და „სამოქალაქო ლიდერებს“, რომლებიც ქმნიდნენ ექსპერიმენტთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, აზრდაც არ მოსვლიათ, რომ შეიძლებოდა მოქალაქეებს სდომოდათ საკუთარი პრობლემების შესახებ საუბარი“ (Sliberman 1964, 353).

რადგან ფორდის ფონდის ინიციატივა სათემო მობილიზაციის შესახებ არასდროს გასცდენია სერვისების პროფესიონალთა მიერ მიწოდების მოდელს, ღიმილის მომგვრელია, რომ ფონდმა მოახერხა საჯარო პოლიტიკაში მოქალაქეთა აქტიური ჩართულობის იდეის დისკრედიტირება და კიდევ ერთხელ განამტკიცა იმ დისტანციის საჭიროება, რომელიც პრობლემებზე რეაგირების დამგვამავ ექსპერტებსა და იმ ადამიანებს შორის არსებობდა, რომლებსაც პირდაპირ ეხებოდა დაგეგმვის შედეგები (Moynihan 1969). გარდა ამისა, ამ ინიციატივამ მიიქცია კონგრესის არასასურველი ყურადღება, რამაც, თავის მხრივ შედეგად მოიტანა ის, რომ კიდევ უფრო გამკაცრდა ფილანთროპიის სტანდარტები და პროცედურები.¹ სათემო გაძლიერების იდეასთან ფლირტისა და კონგრესის ბენოლის შედეგად, ფონდებმა კიდევ უფრო გააძლიერეს აქცენტი საკუთარი შიდა მენეჯმენტისა და პროექტების დაფინანსების პროცედურის პროფესიონალიზაციაზე. ასე რომ, სათემო არასამეწარმეო ორგანიზაციების მიერ წარდგენილი განაცხადების დაფინანსების შანსი სულ უფრო და უფრო მცირდებოდა.²

4. ფილანთროპიის ახალი ფალა და მისი გავლენა

ამ ისტორიის მიუხედავად, შეინიშნება ახალი ფილანთროპების მოზღვავება, რომლებიც, ზედაპირული ანალიზის საფუძველზე ამბობენ, რომ თითქოს პირველად მისი არსებობის განმავლობაში, ფილანთროპიას აკლია პროფესიონალიზმი და ენთუზიაზმი და რომ ის დიდი დობით საჭიროებს რაციონალიზაციას, პროფესიონალიზმსა და შედეგზე ორიენტირებულ მიდგომებს. (Edwards 2010). ბევრ ამჟამინდელ დონორს აქვს მენარმეობის გამოცდილება ახალი ტექნოლოგიების სფეროში და დარწმუნებით აცხადებენ, რომ მათი უპრეცედენტო გამოცდილებით, საჭიროა პრობლემების გადაჭრა და არა მათ სიმპტომებთან გამკლავება. ამ ადამიანებს ან არ ესმით, ან გულგრილნი არიან ფილანთროპიის ირგვლივ არსებული იმ დისკურსის მიმართ, რომელიც მთელი საუკუნის განმავლობაში ქველმოქმედების ფრაგმენტულ, ზედაპირულ და მოუქნელ მცდელობებს მეცნიერულ მიდგომებად ასაღებდა.

ჩარლზე ბრონფმანი და ჯეფრი სოლომონი არ დალატობენ ტრადიციას (Bronfman, Solomon 2010, 23) და აცხადებენ, რომ აქამდე ფილანთროპია „მხოლოდ ძალაუფლებაზე, მოლოდინებზე, გავლენებსა და დიას, ეგოზე იყო ორიენტირებული და ნაკლებად ზრუნავდა საბოლოო შედეგზე“. მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, პირველად, „დონორები ცდილობენ შეცვალონ სიტუაცია... ისინი მზად არიან გამოიყენონ საკუთარ ბიზნესში ნაცადი მაღალი დონის მენეჯერული ინსტრუმენტები, რათა უკეთეს შედეგებს მიაღწიონ გამოწვევებით აღსავსე ამ ახალ არენაზე... მათი ქველმოქმედება შედეგზეა ორიენტირებული, აზროვნება კი – სტრატეგიული. ისინი ეყრდნობიან ინდიკატორებსა და რეგულარული მონიტორინგის შედეგებს.“ პოლ ბრესტი, ჰიულეტის ფონდის პრეზიდენტი და ჰალ ჰარვი ამტკიცებენ, რომ ის, რაც ფილანთროპიას აკლია, არის ღრმა აზროვნება და სტრატეგიების გამოყენება. 2008 წელს გამოცემულ ნაშრომში „კარგად დახარჯული ფული“ ისინი ამტკიცებენ, რომ ჭეშმარიტად სტრატეგიული ფილანთროპიის ძირითადი მიზანია „იმგვარი გეგმის შემუშავება და შემდეგ განხორციელება, რომელიც თანაბარბომიერია კონკრეტული ინტერვენციისთვის გამოყოფილი ფულადი რესურსისა. ამის შემდეგ, ავტორები, იმგვარი პათოსით, რომელიც სრულად მიესადაგება 1920-იანი წლების როკეფელირის ფონდის წლიურ ანგარიშებს, ამატებენ, რომ „ეს ძალისხმევა, თავის მხრივ, მოითხოვს იმ სამყაროს ემპირიულ და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ცოდნას, რომელშიც უნდა განხორციელდეს ეს გეგმა“. ეფექტიანი ფილანთროპიის საყრდენს, ავტორების თქმით, წარმოადგენს „ცვლილების თეორია, ანუ მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ინტერვენციებს თქვენთვის სასურველ მიზანთან“. მეტი ყურადღება მეცნიერულ და ლოგიკურ ასპექტებზე არის ის მიდგომა, რომელიც უბრალო ქველმოქმედებას ჭეშმარიტად შედეგის მომტან ფილანთროპიად გარდაქმნის“ (Brest, Harvey 2008, 7, 47-48).

რაც უფრო ძლიერდება ინსტიტუციური ფილანთროპიის ტენდენცია, შეცვალოს საკუთარი შიდა სტრატეგიის შემუშავების, დაგეგმვისა და შედეგების გაზომვის მიდგომები, მით უფრო გარდაუვალი ხდება ის სიტუაცია, რომელიც გულისხმობს იმ ნააზრევისა და გეგმების ნიველირებას, რომელიც სათემო ორგანიზაციებიდან მომდინარეობს. როგორც დევიდ ჰანთერი აღნიშნავს წიგნში „ქველმოქმედების დასასრული“, „არ არსებობს სარწმუნო მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ არასამენარმეო ორგანიზაციებს შეუძლიათ რაიმე სოციალური გავლენის მოხდენა“. უფრო მეტიც, ჩვენ „ვერ დავეყრდნობით იმ მოსაზრებას, რომ სერვისის მიმწოდებელ არასამენარმეო ორგანიზაციებს გამოსწორება შეუძლიათ ბენოლის გარეშე“. მხოლოდ არასამენარმეო სექტორის ფუძემდებლებს შეუძლიათ „საკუთარ ხელში აიღონ ძლიერი, ეფექტური და ეფექტიანი არასამენარმეო სექტორის მშენებლობა“ (2009, 72). ბევრი დონორი მონადინებულია გამოთქვას მოსაზრება იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა ოპერირებდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები. „არასამენარმეო ორგანიზაციები

ბიზნესის მსგავსად უნდა იმართებოდნენ“, ამტკიცებენ ბრონფმანი და სოლომონი (Bronfman, Solomon). „შეხვედრები დროზე უნდა დაიწყოს და არ უნდა დაემსგავსოს დაუსრულებელ სოციალურ თავყრილობებს, რომლებიც უსაგნოდ და უმიზნოდაა განელილი“. „არასამენარმეო ორგანიზაცია არც ეკლესია არ არის. ის არ უნდა წამოეგოს ქარიზმატული ლიდერის მახეს, რომელიც, იმის ნაცვლად, რომ ორგანიზაცია მიზნის შესაბამისად მართოს, რელიგიური სულისკვეთებით ეპყრობა საქმეს“ (Hunter 2010, 18).

ძნელი სათქმელია, რომელი უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა – ფილანთროპიის განსაკუთრებული დაინტერესება სოციალური მეცნიერებებით, თუ მისი არც თუ ისე დიდი ხნის აღტაცება ბიზნეს მენეჯმენტით, მაგრამ ცხადია, რომ ამ სფეროში არსებულმა მზარდმა ტენდენციამ კიდევ უფრო დააშორა ერთმანეთს სათემო ორგანიზაციებში განევირინებული მოქალაქეები და თანამედროვე ფონდების ცენტრალიზებული და პროფესიული მენეჯმენტი. მიუხედავად იმისა, რომ ფილანთროპია ორგანიზებულია სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებში, მან მაინც შეუნყო ხელი იმ მიზნის დაკნინებას, რაც უმთავრესი იყო სამოქალაქო საზოგადოების ტოკვილისეულ ხედვაში, და რომელიც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა პრობლემების გადაჭრის პროცესში დემოკრატიულ ჩართულობასა და თემზე ზრუნვას. სწორედ ამ უმთავრესი დემოკრატიული მიზნის გამოა, რომ არაკომერციული ორგანიზაციების შეხვედრები ხშირად ემსგავსება „დაუსრულებელ და განელილ სოციალურ თავყრილობებს“ (Bronfman and Solomon 2010, 18) (1995, 48). როგორც ჯონ მაკნაითი აღნიშნავს, თანამედროვე საზოგადოებაში პროფესიონალიზმის მზარდ პრობლემასთან დაკავშირებით, „როდესაც პრობლემის განსაზღვრის შესაძლებლობა პროფესიული პრეროგატივა ხდება, მოქალაქეები წყვეტენ არსებობას. ეს პრეროგატივა ნიშნავს, რომ მოქალაქეებს არ შეუძლიათ პრობლემების განსაზღვრა, მათ გადანყვეტაზე რომ არაფერი ვთქვათ. გარდა ამისა, პოლიტიკური ფუნქციები ტექნიკურ და ტექნოლოგიური პრობლემებზე იქცევა“.

5. დასკვნა: რა უნდა გააკეთონ ზონდებმა?

ინსტიტუციური ფილანთროპია დაინტერესებულია რომ იყოს ამერიკის საზოგადოებრივ ცხოვრებაში უნიკალური ნიშის დაკავებასა და მნიშვნელოვანი როლის შესრულებაში, იგი შეწყვეტდა სამოქალაქო საზოგადოების გაერთიანების დასუსტებას და სამაგიეროდ, მიხედვად დემოკრატიული ჩართულობის საგანგაშო დეფიციტს, რომლის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი თავადაა (Gibson 2006). ტოკვილის ხედვას რომ მიჰყოლოდნენ, ფონდებს შეეძლოთ დაფინანსება იმ პროგრამებისკენ მიემართათ, რომლებშიც გათვალისწინებული იქნებოდა იმ მოქალაქეების აზრი პრობლემებისა და მათთან გამკლავების მექანიზმების შესახებ, რომლებსაც ეს პრობლემები ეხებათ. გარდა ამისა, ის ყურადღებას მიაქცევდა და მხარს დაუჭერდა თვითმმართველობის ტოკვილისეულ ინსტიტუტებს.³ პრობლემების გადაჭრის გზები, რომელთა შემუშავებაში ჩართულნი არიან სწორედ ის მოქალაქეები, რომლებსაც ეხება ეს პრობლემები, უფრო ხანგრძლივადიანი, მდგრადი და ეფექტიანია. თემის საკუთრების გრძნობა არის იმის გარანტია, რომ ეს მიდგომები დროს გაუძლებს და არ გამოინვევს იმ წინააღმდეგობას, რაც ხშირად ხდება ხოლმე პროექტების ან პროგრამების შემთხვევებში, რომლებსაც ძალიან შორს მომუშავე ექსპერტები ქმნიან და მერე თავს ახვევენ ადგილობრივ თემებს. სწორედ ასე მოხდა „ძლიერი საზოგადოების“ სათემო მობილიზაციის პროგრამის შემთხვევაშიც. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მოქალაქეების ჩართვა პრობლემის განსაზღვრასა და მის გადანყვეტის გზების ძიების პროცესში მათ უვითარებს იმ უნარ-ჩვევებს, რაც ასე მნიშვნელოვანია დემოკრატიული თვითმმართველობისთვის: ჯერ მოთმენა და ბოლოს სიამოვნების მიღება განხილვის, კამათისა და

შეთანხმების მიღწევის მოუწესრიგებელი და უსწორმასწორო პროცესისგან, რომელიც ამერიკული დემოკრატიის იმ უმთავრესი მრწამსისგან მომდინარეობს, ყველა მოქალაქის პატივისცემითა და ღირსების დაცვით მოპყრობას რომ გულისხმობს.

ტოკვილისეული ან სამოქალაქო განახლებაზე ორიენტირებული ფილანთროპია კი, ზედმეტი ხმაურის გარეშე იმუშავებდა იმ თემებთან, რომელთა დახმარებაც სურდა და სიღრმისეულად ჩასწვდებოდა „ქუჩის სიბრძნეს“ რათა კარგად გაეაზრებინა თემების აღქმა პრობლემების მიმართ (Somerville 2008). დიდი ალბათობით, ამ ადამიანებს წებოვანი ლენტებით აქვთ დამაგრებული იატაკის საგებები, ხოლო სახურავიდან წყალიც ჩასდით. არც სხარტი და ყურადღების მიმქცევი ბროშურების ბეჭდვა შეუძლიათ და არც საგრანტო განაცხადების დაწერა. ისინი არ იყენებენ თანამედროვე საბუღალტრო აღრიცხვის სისტემებს და ალბათ არც ლოგიკური ჩარჩოების შექმნა შეუძლიათ შედეგების გაზომვის სისტემით. ისინი არ ლაპარაკობენ სოციალური მეცნიერებების ენაზე, არც მაღალანაზღაურებადი და ტიტულოვანი ექსპერტები ჰყავთ, მაგრამ სამაგიეროდ, ეყოლებათ მოხალისეები, რომელთა მთავარი მიღწევა ისაა, რომ თავის დროზე მოახერხეს ამ პრობლემების დაძლევა და ახლა სხვებს უზიარებენ გამოცდილებას. მნიშვნელობა არ აქვს, რა ეწერება მათ ფორმალურ წესდებაში, მათი აქტივობები პასუხობს ადგილობრივ საჭიროებებს იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათ ბრალს დასდებენ არაეფექტიანობაში და მისიიდან გადახვევაში. ამ სულისკვეთებით, თითოეული ადამიანი მიიჩნევა არა არაადეკვატურ არსებად და პათოლოგიების თაიგულად, არამედ უნიკალურ ინდივიდად და მოქალაქედ, რომელიც იმსახურებს პატივისცემას და ჰუმანურ მოპყრობას. ამგვარი მიდგომა მთლიანად ცვლის ჯერ კიდევ ღრმად გამჭდარ შეხედულებას ინსტიტუციური ფილანთროპიის შესახებ. ცხადია, იგი ქველმოქმედების მსგავსად, საეჭვოდ გამოიყურება – ეს არის მოძველებული და რეპუტაციაშელახული მიდგომა, რომელიც მაინც მიაგებდა პატივს თითოეულ ინდივიდს. ქველმოქმედება, რასაკვირველია, მხოლოდ „სიმპტომებს“ კურნავს, რადგან თვითონ ადამიანები ანიჭებენ მნიშვნელობას ამ სიმპტომებს, და არ ცდილობს გამომწვევ მიზეზებთან ბრძოლას, რასაც მხოლოდ „შორსმჭვრეტელი“ ექსპერტები ახერხებენ. რადგან სამოქალაქო განახლების ფილანთროპია ინდივიდუალურ სოციალურ პრობლემებს ეხება და ეყრდნობა ინდივიდებისა და თემების შეხედულებას ამ პრობლემებისა და მათი მოგვარების გზების შესახებ, იგი მოითხოვს კონტროლის გარკვეულ დონეზე დათმობას, რასაც პროფესიონალი ექსპერტების უმეტესობა არ დაეთანხმება. განა ეს მეტისმეტად მოკრძალებული მიზანი არ არის ფილანთროპიისთვის? განა ეს სოციალური მეცნიერებების მზაკვრული დალატი არ არის, რომელიც გვავალდებულებს, რომ ერთხელ და სამუდამოდ აღმოვფხვრათ სოციალური პრობლემების გამომწვევი მიზეზები? ნუთუ ისევ უნდა მივუტრიალდეთ ქველმოქმედებას? გაითვალისწინეთ, მიუხედავად ერთი საუკუნის განმავლობაში მილიარდობით დახარჯული დოლარისა, გამომწვევ მიზეზებთან მებრძოლმა ფილანთროპიამ ვერც ერთი სოციალური პრობლემის აღმოფხვრა ვერ მოახერხა. ამასობაში, ჩვეულებრივი მოქალაქეები განაგრძობენ უთვალავი სათემო გაერთიანებების შექმნას, რათა საკუთარი პრობლემები თვითონ მოაგვარონ. ეს მცდელობა ხშირად იმაში გამოიხატება, რომ მეზობლები ერთმანეთზე ზრუნავენ პირდაპირ და პერსონალურად (McKnight 1995). ამ ქმედებებში შეიძლება უბრალო ქველმოქმედება დავინახოთ, ან, თვითმართველობაში სამოქალაქო ჩართულობის გაძლიერების თავდადებული მცდელობა. ტოკვილი სწორედ ამას ხედავდა. სწორედ ამ მოკრძალებულ და პრაგმატულ ადგილობრივ სამოქალაქო აქტივიზმზე ამყარებდა ტოკვილი ამერიკული დემოკრატიის ექსპერიმენტის წარმატების იმედებს. ფონდებს კი, რომლებიც ამგვარ აქტივობებს უჭერენ მხარს, არაფრით არ უნდა რცხვენოდეთ, რომ სათემო დონეზე თვითმმართველობას უმართავენ ხელს.

შენიშვნები

1. ფორდის ფონდის ის კონკრეტული ქმედებები, რომლებმაც კონგრესის აგრესია გამოიწვია მოკლედ ადნერილი ფლიშმანთან (Fleishman 2009, 325–26) და რივსთან (Reeves 1970, 20–22), ხოლო უფრო ვრცლად სმიტთან და კიეჩიტანთან (Smith and Chiechi 1974, 43).
2. 1969 წლის გადასახადების რეფორმირების აქტის მიღების შემდეგ ფონდების პროფესიონალიზაციის შესახებ, იხილეთ მოკლე მიმოხილვა ჰამმაცთან {Hammack (2006, 80–82) და აგრეთვე, აბრამსონსა და მაკკარტისთან (Abramson and McCarthy (2002, 343–44).
3. ინფორმაცია ეფექტური სათემო ჯგუფებისა და იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც მათ ფინანსურად ეხმარებიან, იხილეთ ვუდსონსა და ელიოტთან (Woodson, 1998; Elliott (2004). ხოლო უფრო პოლიტიკაზე ორიენტირებული ინფორმაციისთვის, ტოკვილისეული თვითმმართველობის ინსტიტუტების მხარდაჭერისთვის და აგრეთვე, მაგალითებისთვის იხილეთ გოლდსმიტი (Goldsmith, 2002).

ბიბლიოგრაფია

- Abramson, A., and R. McCarthy. 2002. "Infrastructure Organizations," in L. Salamon (ed.) *The State of Nonprofit America*. Washington, D.C.: Brookings Institution Press.
- Brest, P., and H. Harvey. 2008. *Money Well Spent: A Strategic Plan for Smart Philanthropy*. New York: Bloomberg Press.
- Bronfman, C., and J. Solomon. 2010. *The Art of Giving: Where the Soul Meets a Business Plan*. San Francisco: Jossey-Bass.
- Croly, H. D. 1909. *The Promise of American Life*. New York: MacMillan.
- . 1915. *Progressive Democracy*. New York: MacMillan.
- Edwards, M. 2010. *Small Change: Why Business Won't Save the World*. San Francisco: Berrett-Koehler.
- Elliott, B. J. 2004. *Street Saints: Renewing America's Cities*. Philadelphia: Templeton Foundation Press.
- Ettling, J. 1981. *The Germ of Laziness: Rockefeller Philanthropy and Public Health in the New South*. Cambridge, Mass.: Harvard University Press.
- Fisher, D. 1983. "The Role of Philanthropic Foundations in the Reproduction and Production of Hegemony: Rockefeller Foundations and the Social Sciences." *Sociology* vol. 17 no. 2: 206–33.
- Fleishman, J. L. 2009. *The Foundation: A Great American Secret: How Private Wealth is Changing the World*. New York: Public Affairs.
- Frumkin, P. 2006. *Strategic Giving: The Art and Science of Philanthropy*. Chicago: University of Chicago Press.
- Gibson, C. 2006. "Citizens at the Center: A New Approach to Civic Engagement." Washington, D.C.: The Case Foundation. Available at <http://www.casefoundation.org/sites/default/files/citizens-at-the-center.pdf> (accessed February 18, 2010).
- Goldsmith, S. 2002. *Putting Faith in Neighborhoods: Making Cities Work through Grassroots Citizenship*. Washington, D.C.: Hudson Institute.
- Hall, P. D. 1982. *The Organization of American Culture, 1700–1900: Private Institutions, Elites, and the Origins of American Nationality*. New York: New York University Press.
- . 1992. *Inventing the Nonprofit Sector and Other Essays on Philanthropy, Voluntarism, and Nonprofit Organizations*. Baltimore: Johns Hopkins University Press.

- . 2006. “American Debates on the Legitimacy of Foundations,” in K. Prewitt, M. Dogan, S. Heydemann, and S. Toepler (eds.) *The Legitimacy of Philanthropic Foundations: United States and European Perspectives*. New York: Russell Sage Foundation.
- Hammack, D. C., and S. Wheeler. 1994. *Social Science in the Making: Essays on the Russell Sage Foundation, 1907–1972*. New York: Russell Sage Foundation.
- Haskell, T. L. 1977. *The Emergence of Professional Social Science: The American Society Science Association and the Nineteenth-Century Crisis of Authority*. Urbana: University of Illinois Press.
- Hunter, D. 2009. “The End of Charity: How to Fix the Nonprofit Sector Through Effective Social Investing.” *Philadelphia Social Innovations Journal* vol. 1(1): 72–77.
- Karl, B. D., and S. N. Katz. 1981. “The American Private Philanthropic Foundation and the Public Sphere 1890–1930.” *Minerva*, vol. 19(2): 236–70.
- Lagemann, E. C. 1983. *Private Power for the Public Good: A History of the Carnegie Foundation for the Advancement of Teaching*. Middletown, Conn.: Wesleyan University Press.
- McCarthy, K. D. 2003. *American Creed: Philanthropy and the Rise of Civil Society 1700–1865*. Chicago: University of Chicago Press.
- McKnight, J. 1995. *Careless Society: Community and Its Counterparts*. New York: Basic Books.
- Moynihan, D. P. 1969. *Maximum Feasible Misunderstanding: Community Action in the War on Poverty*. New York: The Free Press.
- Piven, F. F. 1967. “The Demonstration Project: A Federal Strategy for Local Change,” in G. A. Brager and F. P. Purcell (eds.) *Communication Action Against Poverty: Readings from the Mobilization Experience*. New Haven, Conn.: College & University Press.
- Reeves, T. C. 1970. “Introduction,” in T. C. Reeves (ed.) *Foundations Under Fire*. Ithaca, N.Y.: Cornell University Press.
- Rockefeller, J. D. 1913. *Random Reminiscences of Men and Events*. Garden City, N.Y.: Doubleday.
- Ross, E. A. 1921. *The Principles of Sociology*. New York: The Century Co.
- Sealand, J. 1997. *Private Wealth & Public Life: Foundation Philanthropy and the Reshaping of American Social Policy from the Progressive Era to the New Deal*. Baltimore: Johns Hopkins University Press.
- Silberman, C. E. 1964. *Crisis in Black and White*. New York: Random House.
- Smith, W. H., and C. P. Chiechi, 1974. *Private Foundations: Before and After the Tax Reform Act of 1969*. Washington, D.C.: American Enterprise Institute.
- Somerville, B., with F. Setterberg. 2008. *Grassroots Philanthropy: Field Notes of a Maverick Grantmaker*. Berkeley: Heyday Books.
- de Toqueville, A. [1835, 1840] 2000. *Democracy in America*. Trans. H. C. Mansfield and D. Winthrop. Chicago: University of Chicago Press.
- Wiebe, R. H. 1966. *The Search for Order 1877–1920*. New York: Hill and Wang.
- Woodson, R. L., Sr. 1998. *The Triumphs of Joseph: How Today’s Community Healers are Reviving Our Streets and Neighborhoods*. New York: The Free Press.